

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული
განვითარების გეგმის (პროექტი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის განვითარების სტრატეგიის (2016-2020) შესაბამისობა

კვლევის ანგარიში

კვლევის ავტორი

ბადრი გეგზაია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ბათუმი, 2018



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



კვლევის ანგარიში: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის (პროექტი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგიის (2016-2020) შესაბამისობა“ შემუშავებული პროექტის: „რეგიონების მხარდაჭერა მდგრადი განვითარებისთვის“ (ARSD). ARSD 2 წლიანი პროექტია, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მიმდინარეობს 2017 წლის 2 ოქტომბრიდან.

პროექტი ხორციელდება კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან: ფიფლ ინ ნიდ (PIN) და დემოკრატიის ინსტიტუტთან (IOD) თანამშრომლობით.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კვლევის ავტორი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of authors and do not necessarily reflect the views of the European Union.

შინაარსი

შესავალი	3
თავი I აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტის გაცნობა, მისი შექმნის წინაპირობები	5
თავი II აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტის მეთოდოლოგია, მიმართულებების განაწილება დოკუმენტში	7
თავი III პროექტის შედგენაში ჩართული მხარეები, განხორციელებული კომუნიკაციები და შედეგები	9
თავი IV აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტისა და აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ურთიერთშედარებითი ანალიზი	10
თავი V აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტისა და საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ურთიერთშედარებითი ანალიზი	14
თავი VI არსებული რეალობა და ხარვეზები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტში	20
დასკვნები და რეკომენდაციები	21
გამოყენებული ლიტერატურა	23

შესავალი

საკითხის აქტუალობა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების სტრატეგია მუშავდება ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილების საზღვრებში არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების გათვალისწინებით.

სტრატეგია არის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც ასახავს არსებულ ვითარებასა და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების გეგმაში უნდა აისახოს ყველა იმ ტერიტორიული ერთეულის განვითარების ძირითადი მიმართულებები, რომელიც შედის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში.

ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს, ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონების განვითარების სტრატეგიას და უნდა გამომდინარეობდეს ამ სტრატეგიიდან და, მეორე მხრივ, არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში, უკვე დამტკიცებულ სტრატეგიებთან, ისეთებთან, როგორებიცაა : საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგია და აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია კონკრეტული პროექტების სამოქმედო პროგრამის, მისი განხორციელების ვადების, ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრა. სტრატეგიის შემუშავება მიზნად ისახავს ცალკეულ რეგიონში არსებული პოტენციალის განსაზღვრასა და წინადადებების შეთავაზებას შემდეგი შედეგების მისაღწევად:

- ✓ რეგიონში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- ✓ ინვესტიციების წახალისება;
- ✓ ცალკეულ რეგიონში შექმნილი რთული მდგომარეობის დაძლევა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;
- ✓ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ✓ გარემოსა და ეკოლოგიური ბალანსის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება.

კვლევის ობიექტი: კვლევის ობიექტია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროექტი), აჭარის სოფლად განვითარების სტრატეგია და საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა.

კვლევის მიზნები და ამოცანები:

- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტის გაცნობა, პროექტში არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, მათი გაანალიზება;
- ✓ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2016-2017 წლებში არსებული ზოგადი მდგომარეობის შესწავლა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტთან შედარება;
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2020 წლების, სოფლის განვითარების სტრატეგიის გაცნობა, სტრატეგიის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, მათი გაანალიზება;
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების გამოვლენა, მისი გადაწყვეტის გზების შეთავაზება და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტთან შედარება;

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შესაბამისობის შესწავლა;

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევისათვის გამოყენებულ იქნა შედარებითი და შეფასებითი კვლევის მეთოდები. შედარებითი კვლევა უზრუნველყოფს საკვლევ ობიექტებს შორის არსებული შესაბამისობების, კონცეპტუალური მსგავსებების და განსხვავებების იდენტიფიცირებას - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის შედარებით ანალიზს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის განვითარების სტრატეგიასა (2016-2020) და საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან. კვლევისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: აღწერილობითი კვლევის მეთოდი; შედარებითი კვლევა; შეფასებითი კვლევა სისტემური ანალიზით; სიღრმისეული ინტერვიუ.

თავი I

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის (პროექტი) და მისი შექმნის წინაპირობები

2011 წელს მიიღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგია, დოკუმენტი მომზადდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2009 წლის 25 დეკემბრის #107 განკარგულების „2010-2014 წლების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ.

იქიდან გამომდინარე, რომ სტრატეგია ასრულებს მნიშვნელოვან როლს რეგიონის განვითარების ეფექტურ მართვაში, დღის წესრიგში დადგა ახალი სტრატეგიის შემუშავება, ან არსებული სტრატეგიის გადამუშავება, რომელიც უნდა განვითარებულიყო ოთხი ძირითადი მიმართულებით: სივრცითი, ეკონომიკური, საინვესტიციო და ინსტიტუციონალური.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროექტი) შეიმუშავეს 2016 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) მხარდაჭერით, პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) მიერ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიის შედგენამდე ავტონომიურ რესპუბლიკაში შემუშავებულია შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2019 წწ სტრატეგია, ტურიზმის დეპარტამენტის 2014-2018 წლების საშუალოვადიანი სტრატეგია, აჭარის სატყეო სააგენტოს 2015-2019 წლების ინსტიტუციური განვითარების სტრატეგია, ეროვნული სტრატეგიები და/ან დარგობრივი პრიორიტეტების დოკუმენტები.

დამტკიცებულია აჭარის სოფლად განვითარების სტრატეგია, რომელიც UNDP-ის მხარდაჭერით შეიქმნა. მიუხედავად ამისა, აჭარა რჩება საქართველოს მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფ ერთადერთ რეგიონად, რომელსაც არა აქვს სტრატეგია, გრძელვადიანი ხედვა და არ განუსაზღვრია განვითარების პრიორიტეტები. ზოგადად, პრიორიტეტების განსაზღვრა ხორციელდება საბიუჯეტო პროცესის დაწყების დროს, რადგან, ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპალიტეტების საშუალოვადიანი პრიორიტეტები მიბმულია ბიუჯეტზე, მაგრამ საჭიროა არსებობდეს არა მხოლოდ საშუალო და მოკლევადიანი განვითარების გეგმები, არამედ, გრძელვადიანი გეგმა, რასაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება და საშუალო თუ მოკლევადიანი გეგმები იქნება სტრატეგიული გეგმის გარკვეული პერიოდის დაკონკრეტება, გარდა ამისა, დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა საშუალებას იძლევა უფრო ეფექტიანად განხორციელდეს აღმასრულებელი ორგანოების კონტროლი, მოხდეს შედარება დაგეგმილ და რეალურად მიღწეულს შორის.

საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ამასთან, განხორციელებული რეფორმები ხშირ შემთხვევებში არათანმიმდევრული და სპონტანური იყო. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, მისმა სიკეთემ მოსახლეობის დიდ ნაწილამდე ვერ მიაღწია.

რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი გეგმა პირველ რიგში შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტებთან, როგორცაა:

„საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია“, საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი, ეკონომიკური განვითარების სხვა სტრატეგიები. ამასთანავე უნდა ასახავდეს არსებულ რეალობას, უნდა პასუხობდეს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან გამოწვევებს, დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ეკონომიკის დარგში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის დეტალური გზები. მნიშვნელოვანია, სტრატეგიული დოკუმენტი შედგენილი იყოს ისეთნაირად, რომ მისი მორგება შესაძლებელი იყოს მოქნილად და ეფექტურად, არსებული რეალობის გათვალისწინებით.

სტრატეგიული დოკუმენტი არის ზოგადი მიმართულებების განმსაზღვრელი ინსტრუმენტი, თუმცა დოკუმენტს უნდა ახლდეს პროექტები, რომლის მიზანს წარმოადგენს, თითოეული მიმართულების კონკრეტულ პროგრამებად ჩაშლა, სადაც მითითებული იქნება, როგორც თითოეული მიმართულების, თითოეული პროექტის, მისი აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაცია, როგორც განსახორციელებელი საქმიანობის გეგმა გრაფიკის შესახებ, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები და მათი როლი გრძელვადიანი განვითარების პროცესში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროექტი) უნდა წარმოადგენდეს 2011 წელს მიღებული სტრატეგიული გეგმის ჰარმონიულ გაგრძელებას, რომელშიც ასახული იქნება არსებული რეალობა და მომავლის პერსპექტიული განვითარება.

თავი II

2.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის (პროექტის) მეთოდოლოგია, მიმართულებების განაწილება დოკუმენტში

სტრატეგიის შემუშავების პროცესში, არსებული მდგომარეობის ანალიზის ჩატარებისას, ძირითად წყაროდ წარმოდგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მასში შემავალი მუნიციპალიტეტების ფართობების შესახებ, მიმოხილულია ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული დოკუმენტები, სადაც ძირითად დოკუმენტებად მიჩნეულია აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015-2019 წწ სტრატეგია, ტურიზმის დეპარტამენტის 2014-2018 წლების საშუალოვადიანი სტრატეგია, აჭარის სატყეო სააგენტოს 2015-2019 წლების ინსტიტუციური განვითარების სტრატეგია და დარგობრივი პრიორიტეტების დოკუმენტები. სტრატეგიის დამუშავების პროცესში, ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე განსაზღვრული აჭარის სოფლად განვითარების სტრატეგია [2. გვ. 3, გვ. 46].

როგორც სტრატეგიის პროექტის ანალიზიდან ირკვევა, სტრატეგიის შემუშავების დროს იყო გამოყენებული ინფორმაცია შემდეგი წყაროებიდან:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო;
- ქ. ბათუმის მერია;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;
- ქედის მუნიციპალიტეტის მერია;
- შუახევის მუნიციპალიტეტის მერია;
- ხულოს მუნიციპალიტეტის მერია;

სტრატეგიის დოკუმენტი შეეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს, რაც განაპირობებს დოკუმენტის სტრუქტურას.

გეგმა შედგენილია ექვს ნაწილად, პირველ სამ ნაწილში, ძირითადად, გადმოცემულია სტატისტიკური მონაცემები და სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია.

მესამე ნაწილი ეხება ანალიტიკას, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, შესაძლებლობების და საფრთხეების განსაზღვრას.

2.2. სტრატეგიული განვითარების გეგმების შედგენის უცხოური გამოცდილება

სტრატეგიული გეგმების შედგენის ევროპული მეთოდოლოგია დამყარებულია ევროპა 2020 დოკუმენტზე, რომელიც მიღებულია ევროკავშირის მიერ, 2010 წელს. ამ დოკუმენტის მიღების მთავარ მიზანს წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისის შედეგების აღმოფხვრა, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, უმუშევრობის შემცირება და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ევროპა

2020-ის მთავარი მიზნებია: დასაქმება, კვლევა და განვითარება, მდგრადი განვითარება, განათლება, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა.

როგორც უცხოეთის გამოცდილება ცხადყოფს, სტრატეგიული გეგმების შემუშავების დროს პარალელურად გამოიყენება როგორც ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი (SWOT ანალიზი), ისე პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო და გარემოსთან დაკავშირებული გარემოებების შეფასება (PESTEL ანალიზი). ანალიტიკური კვლევებისათვის ორთავე მეთოდის გამოყენება სანდოობის მაღალ ხარისხს იძლევა.

თავი III

პროექტის შედგენაში ჩართული მხარეები, განხორციელებული კომუნიკაციები და შედეგები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი შედგენილია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა (**giz**) და პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის მიერ, მართალია, პროექტის ავტორთა შორის მითითებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, მაგრამ კვლევამ დაადასტურა, რომ მთავრობისა და მისი შემადგენელი სტრუქტურების ჩართულობის ხარისხი, პასიური იყო.

დოკუმენტის შემდგენი მხარე, ძირითადად, ეყრდნობოდა იმ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ოფიციალურადაა გამოქვეყნებული, ან კიდევ დამუშავების პროცესში იყო. შეიძლება ითქვას, რომ ასეთივე მიდგომა არსებობდა მუნიციპალიტეტების მიმართაც.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, მოხდა შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის მომზადებაში მონაწილე პირებთან, მათი შეხედულებების გაცნობა და მათი მხრიდან გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების გაანალიზება. ინტერვიუს პროცესში მონაწილეობდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები, ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

კვლევის პროცესში ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა მუნიციპალიტეტის ჩართულობის ხარისხი. რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ისინი მხოლოდ პასიურად იყვნენ ჩართულნი დოკუმენტის მომზადების პროცესში. კვლევის ავტორის მიერ განხორციელდა რამდენიმე ვიზიტი მუნიციპალიტეტებში, რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებით, ასევე, ადრე არსებული სტრატეგიული გეგმების გაცნობით და მისი გათვალისწინებით.

დოკუმენტის შემდგენელი მხარის მიერ აღინიშნა, რომ ეს ვიზიტები, ძირითადად, ემსახურებოდა მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის ადგილზე გაცნობას, ასევე ადრე დამტკიცებული სტრატეგიული გეგმების გათვალისწინებას, ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული გეგმის შედგენისას, რათა მომხდარიყო ახალ სტრატეგიაზე ჰარმონიული გადასვლა.

თავი IV

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტისა და აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის ურთიერთშედარებითი ანალიზი

აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის პროექტი შემუშავებულია ევროკავშირის და აჭარის ა/რ მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის, “ENPARD აჭარა - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა” - მხარდაჭერით, რომელსაც ახორციელებს UNDP, სტრატეგია მოიცავს 2016-2020 წლების პერიოდს, დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2016 წლის 17 მაისს. აქედან გამომდინარე, აჭარის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი უნდა შეესაბამებოდეს სოფლის განვითარების სტრატეგიას, როგორც უკვე მოქმედ დოკუმენტს. ასევე სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება აღიქმება აჭარის განვითარების უფრო ფართო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად [3. გვ.6].

2017 წლის 27 იანვარს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ, დამტკიცდა 2017-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, რომლის საფუძველიც უნდა გამხდარიყო, აჭარის განვითარების სტრატეგია, მაგრამ რადგან ეს სტრატეგია მიღებული არ იქნა, საჭირო იყო სოფლის მეურნეობის სტრატეგიის დამტკიცება, რომელიც სოფლის განვითარების სტრატეგიასთან ერთად, სახელმძღვანელო დოკუმენტად ჩამოყალიბდა, ცხრილში მოყვანილია, ერთი მხრივ, ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული გეგმის პროექტისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ურთიერთშედარება.

ცხრილში N1 აღწერილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, შედარებითი ანალიზი მოყვანილია აღნიშნული სტრატეგიების არსებული მდგომარეობის ანალიზითა და SWOT ანალიზით. განხილულია მხოლოდ ის ნაწილი, სადაც ეს ორი დოკუმენტი კვეთს ერთმანეთს. იქედან გამომდინარე, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი უფრო გლობალური დოკუმენტია, ვიდრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, ამიტომ შედარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტები არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ცხრილის პირველ სვეტში განხილულია ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული გეგმაში მოყვანილი დებულებები, მეორე სვეტში - სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ვითარება, ხოლო მესამე სვეტი კი ეხება მათ შედარებას და გამოტანილია დასკვნები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული გეგმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ურთიერთშედარება

აჭარის ა.რ.-ის სტრატეგიული გეგმა (პროექტი)	აჭარის ა.რ.-ის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია	დასკვნა
არსებული მდგომარეობის ანალიზი		
<p>2.1. და 2.3. პუნქტებში განხილულია გეოგრაფიული მდებარეობა, სატრანსპორტო დერეფნების გამოყენების ჭრილში, დემოგრაფიული ვითარება ქალაქად და სოფლად, მოსახლეობის სიმჭიდროვე და მისის შედარება საქართველოს სხვა რეგიონების არსებულ დემოგრაფიულ მდგომარეობასთან.</p>	<p>განხილულია აჭარის ა.რ.-ის გეოგრაფიული მდებარეობა, საზღვრები, ნიადაგები, ჰავა, წყლის რესურსები, მეურნეობების განაწილება, მიწების განაწილება დანიშნულების მიხედვით.</p>	<p>ძირითადი მიდგომები საერთოა, თუმცა შესაძლებელია სტრატეგიულ გეგმაში შემცირდეს ის ნაწილი, სადაც აჭარის ა.რ.-ის დემოგრაფიული თუ სიმჭიდროვის მაჩვენებლები შედარებულია საქართველოს სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებთან. რადგან სტრატეგია წარმოდგენს განვითარების ზოგად ვექტორს, ასეთი მონაცემები რაც შეიძლება მცირედ უნდა იყოს წარმოდგენილი.</p>
<p>2.4. ნაწილში განხილულია შინამეურნეობის შემოსავლები და ხარჯები, ის შედარებულია საქართველოს სხვა რეგიონის ანალოგიურ მაჩვენებლებთან</p>	<p>დოკუმენტის სპეციფიკის გათვალისწინებით განხილულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი</p>	<p>ასეთი განლაგება მისაღებია, რადგან ორთავე დოკუმენტის სპეციფიკურობა მოითხოვს, რომ ფინანსური საკითხები ასეთი სახით იქნას განაწილებული.</p>
<p>2.6. ნაწილში განხილულია სოფლის მეურნეობის სექტორი. განხილულია ს/მეურნეობის თითქმის ყველა მიმართულება. მეციტრუსეობა განხილულია ყველა მიმართულებასთან ერთად</p>	<p>რეგიონის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად მიჩნეულია მეციტრუსეობა, განხილულია მისი პოტენციალი და არსებული მდგომარეობა</p>	<p>სტრატეგიის დოკუმენტში, სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტად მიჩნეულია არა მხოლოდ მეციტრუსეობა, არამედ თხილი და კაკლოვანი კულტურები, თუმცა არსებული სინამდვილე ამ ვითარებას საეჭვოს ხდის.</p>
<p>მონაცემები, ძირითადად, აღებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდიდან, სოფლის მეურნეობის აღწერის მასალებიდან</p>	<p>გამოყენებულია სამინისტროს ხელთ არსებული მასალებიც</p>	
აჭარის ა.რ.-ის სტრატეგიული გეგმა (პროექტი)-სა და აჭარის ა.რ.-ის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის SWOT ანალიზის შედარება		
<p><u>ძლიერი მხარეები:</u> მელიორაციული სისტემების არსებული და დაგეგმილი პროექტები; ციტრუსის ლოგისტიკის განვითარებული ინფრასტრუქტურა; სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემა.</p>	<p><u>ძლიერი მხარეები:</u> ექსტენციის სისტემა, საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციის პროექტები; „აგროსერვის ცენტრები“ და ლაბორატორიები.</p>	<p><u>დასკვნა:</u> სტრატეგიის დოკუმენტში სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემა განხილულია, როგორც მხოლოდ ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული, მაშინ, როცა სოფლის მეურნეობის სტრატეგია</p>

		მას განიხილავს ქვეყანაში არსებული სისტემის ნაწილად. სტრატეგიის დოკუმენტში ძლიერ მხარედ მიჩნეული ციტრუსის ლოგისტიკა მაშინ როცა, 2.6. თავში სუსტ რგოლადაა მიჩნეული
<p><u>სუსტი მხარეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - სასოფლო-სამეურნეო სავარგულ-ების ქარსაფარი ზოლების არარსებობა, მექანიზაციის ცენტრების განუვითარებელი ინფრასტრუქტურა აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში; - სასოფლო სამეურნეო სავარგულების გაუმართავი სამელიორა-ციო სისტემა და სარწყავი და დამშრობი არხების რეაბილიტაციის არასაკმარისი ტემპი; - სოფლის მეურნეობაში სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა და მოსავლიანობის აღრიცხვის არასრულყოფილება; - გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა; - ფერმერების განათლების დაბალი დონე. 	<p><u>სუსტი მხარეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - თანამედროვე წარმოების საშუალებებზე ფერმერთა და აგრო მეწარმეთა დაბალი ინფორმირებულობა; - სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციფიკა დაკავშირებული რთულ გეოგრაფიულ პირობებთან, მიწის ზომებთან და ა.შ.; - მემცენარეობის მიმართულებით ექსტენციის დაბალი ეფექტი; - მცირე ფერმერული მეურნეობები და ფერმერთა დაბალი დაინტერესება ცოდნის შექმნის კუთხით; - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სუსტი განვითარება. 	<p><u>დასკვნა:</u></p> <p>სტრატეგიული დოკუმენტის მიერ განსაზღვრული სუსტი მხარეები, ხშირ შემთხვევაში, აცდენილია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის მიერ განსაზღვრული ანალოგიური მაჩვენებლისაგან. სტრატეგიის დოკუმენტში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში ძლიერ მხარედაა მიჩნეული მელიორაციული სისტემის გამართულობა, მაშინ როცა, ამავე დოკუმენტში, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის სუსტ მხარედაა მიჩნეული</p>
<p><u>შესაძლებლობები</u></p> <ul style="list-style-type: none"> - აგროსამრეწველო სექტორში კოოპერაციისა და ფერმერთა თანამშრომლობის ხელშეწყობა; - სოფლის მეურნეობაში ალტერნატიული საექსპორტო და მაღალშემოსავლიანი კულტურების დანერგვა, 	<p><u>შესაძლებლობები</u></p> <ul style="list-style-type: none"> - ფერმერთა და აგრო მეწარმეთა ცოდნისა და უნარ ჩვევების გაზრდა (მედია, ბეჭდვითი და ა.შ.); - სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება 	<p><u>დასკვნა:</u></p> <p>უმჯობესი იქნება ტერმინი „აგროსამრეწველო“ არ იქნას გამოყენებული, აგროსამრეწველო კომპლექსი არა მარტო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაშიც არ არის ჩამოყალიბებული, ამიტომ ეს არ ასახავს სტრატეგიაში განსაზღვრულ პრიორიტეტებს. ეს ტერმინი, შესაძლებელია ჩანაცვლდეს ტერმინით - „სასოფლო-სამეურნეოთი“.</p>
<p><u>საფრთხეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - მოუწესრიგებელი მიწათსარგებლობა; - ეროზირებული მიწის ფართობები და რეგიონში გააქტიურებული სტიქიური და გეოლოგიური მოვლენები; - ნიადაგის დაბინძურება ორგანული, არაორგანული და ქიმიური ნივთიერებებით; 	<p><u>საფრთხეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - შეუსაბამო ექსტენციასა და მის შემდგომ ღონისძიებებს შორის; - არასტაბილური საერთაშორისო ურთიერთობები; - ფერმერთა ინერტულობა და დაბალი დაინტერესება; - ადგილობრივი წარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობა; 	<p><u>დასკვნა:</u></p> <p>საფრთხეების შეფასება ორთავე დოკუმენტის ძირითად ნაწილში ანალოგიურია, თუმცა, სტრატეგიით განხილული საფრთხეები ვერ მოიცავს სოფლის მეურნეობის წინაშე არსებული საფრთხეების მთელ სპექტრს. საჭიროა განისაზღვროს ისეთი საფრთხეები,</p>

<p>-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების შემცირება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება);</p> <p>- ნიადაგდაცვითი ღონისძიებების გაუთვალისწინებლად სასოფლო-სამეურნეო წარმოებით ნიადაგის დეგრადაცია.</p>	<p>ადგილობრივი წარმოების რეალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები;</p> <p>-მაღალკვალიფიციური კადრების გადინება, ფერმერების მხრიდან ინფორმაციის დამალვა ან/და არასრული მიწოდება, ეროზიული პროცესების გაძლიერება.</p>	<p>როგორცაა ადგილობრივი პროდუქციის გასაღების პრობლემა, მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის პრობლემები, სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლის პრევენცია, სახელმწიფო საკუთრებაში და კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამიჯვნა, საკუთრებაში გადაცემული მიწების პრობლემა, რაც გამოიხატება ხშირ შემთხვევაში კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთების გადაფარვით</p>
---	---	--

განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

<u>პრიორიტეტები</u>	<u>პრიორიტეტები</u>	<u>დასკვნა</u>
<p>კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და პროდუქციის გადამამუშავებისა და გაყიდვების ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა.</p>	<p>თითოეული პრიორიტეტი აგებულია ძლიერი და სუსტი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით და მასში განხილულია ყველა ის სტრატეგიული მიმართულება, რომელიც აქტუალურია ან გახდება უახლოეს პერიოდში</p>	<p>უმთავრეს სტრატეგიულ მიმართულებად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების გეგმაში უნდა განისაზღვროს მჭიდრო სავაჭრო კავშირი ევროპასთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასაღების მთავარ ბაზრად განხილულ უნდა იქნეს ევროკავშირის ბაზარი, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების გამოყენებით.</p>

შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი და აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია მეტ-ნაკლებად შეესაბამება ერთმანეთს, თუმცა გარკვეულ ნაწილში ჰარმონიული ურთიერთკავშირი დარღვეულია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლის პრობლემებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გასვლის პერსპექტივებს, ამის საფუძველზე კი მოხდეს, რეგიონის საექსპორტო პოტენციალის ზრდა.

თავი V

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტისა და საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ურთიერთშედარებითი ანალიზი

საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2015-2017 წლების პერიოდს მოიცავს, პროგრამა არის საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს და ადგენს საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. პროგრამა მომზადდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის №1315 განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი სამინისტროებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის ჩართულობით. დამტკიცდა 2014 წლის 9 ივლისს, საქართველოს მთავრობის მიერ.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები უნდა გამომდინარეობდეს ამ დოკუმენტიდან და ისინი უნდა განიხილებოდნენ, როგორც საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიის გაშლილი ვარიანტი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის საბაზისო ვარიანტად აღებულია დოკუმენტი საქართველო 2020 და საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ სახელმწიფო სტრატეგია, ამის მიზეზს ძირითადად ის წარმოადგენს, რომ აჭარის სტრატეგიის გეგმის პროექტის შემუშავებისას ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენდა საქართველო 2020, ასევე უკვე მიღებული საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სტრატეგია. უმჯობესი იქნებოდა სტრატეგიის პროექტში მოკლედ განხილულიყო შესაბამისობა რეგიონული განვითარების პროგრამასთან. რაც შეეხება სტრატეგიის „საქართველო 2020“, მიღებულია 2014 წლის 17 ივნისს, მასში გათვალისწინებულია იმ პერიოდში არსებული რეალობა, თუმცა, ბოლო წლებში მიმდინარე ნეგატიური ეკონომიკური პროცესები, რაც გამოიხატებოდა ლარის კურსის დევალვაციაში, შენელებულ ეკონომიკურ ზრდაში, ზოგ პერიოდში შემცირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, მასში კორექტირების გზით ასახული არ არის, ამიტომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიის განხილვისას, პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს არა რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სტრატეგია და საქართველო 2020, არამედ საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, რომელიც 2015-2017 წლების პერიოდს მოიცავს, მით უმეტეს, რომ საქართველოს დანარჩენი რეგიონების სტრატეგიული განვითარების გეგმები ამის საფუძველზეა შედგენილი ან კორექტირებული.

ცხრილში N2, მოცემულია რეგიონული განვითარების პროგრამისა და აჭარის სტრატეგიული განვითარების გეგმის ურთიერთშედარება.

აჭარის ა.რ.-ის სტრატეგიული გეგმისა და საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ურთიერთშედარება

აჭარის ა.რ.-ის სტრატეგიული გეგმა (პროექტი)	საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა	დასკვნა
SWOT ანალიზი		
<p><u>ძლიერი მხარეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საერთაშორისო, შიდა-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პერიოდული რეაბილიტაცია; - ქ. ქობულეთისა და ქ. ბათუმის შემოვლითი გზის მიმდინარე მშენებლობა; - სახელმწიფოს მხარდი ინვესტიციები საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროცესში 	<p><u>ძლიერი მხარეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - რეგიონებში და განსაკუთრებით, ქ. თბილისში, უკვე განვითარებულია ფიზიკური ინფრასტრუქტურული ქსელის (ტრანსპორტი, წყალი, ელექტროენერჯია და სხვ.) მნიშვნელოვანი ნაწილი; - საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია რეგიონების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიები; - შეზღუდული რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტს აქვს საიმედო და მზარდი ბაზარი; - არსებობს ტურისტული მრეწველობის კიდევ უფრო მეტად განვითარების მძლავრი პოტენციალი, როგორც ქალაქად, ისე - სოფლად 	<p><u>დასკვნა:</u></p> <p>ძლიერი მხარეების ანალიზის მიხედვით, არსებობს გარკვეული კავშირი, ეს კი იქიდან გამომდინარეობს, რომ ორთავე დოკუმენტი ეყრდნობა სტრატეგიას - „საქართველო 2020“</p>
<p><u>სუსტი მხარეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - არადივერსიფიცირებული ტურისტული ინდუსტრია და პროდუქტები; - ტურისტული პროდუქტის ფასისა და ხარისხის შეუსაბამობა კონკურენტებთან შედარებით; - მომსახურების დაბალი დონე; - ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ჩარტერული და რეგულარული ფრენების და მიმართულებების ნაკლებობა; - ენერგორესურსების დამზოგავი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენების დაბალი დონე; - დაბალი ხარისხის პროდუქციით გაჯერებული ბაზარი; რეგიონში სამეწარმეო უნარჩვევების, ასევე თანამედროვე მართვისა და ადმინისტრირების ცოდნის დაბალი დონე; - ბუნებრივი რესურსების არა- 	<p><u>სუსტი მხარეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - ინფრასტრუქტურული ქსელების უდიდესი ნაწილი ჯერაც საჭიროებს დასრულებასა და განვითარებას, განსაკუთრებით – ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე; - საჭიროა პროფესიული განათლებისა და სწავლების შესაძლებლობების მეტად განვითარება და სტანდარტების დანერგვა; - განაპირა ტერიტორიები კვლავ არახელსაყრელ პირობებშია; - ფინანსური რესურსები ინვესტირებისათვის (განსაკუთრებით სოფლად/განაპირა ადგილებში) არასაკმარისია; - სოფლის მეურნეობასა და სოფელზე დამყარებული ეკონომიკური აქტივობები არასაკმარისად პასუხობს ბაზრის მოთხოვნებს; - მიწის საკუთრება ფრაგმენტულია და იშვიათ შემთხვევებშია რეგისტრირებული; - განაპირა მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები დღესდღეობით ვერ უზრუნველყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მხარდაჭერას; - უმუშევრობა (განსაკუთრებით, სოფლად) 	<p><u>დასკვნა:</u></p> <p>სუსტი მხარეების გაანალიზება ძირითადად იდენტურია, აჭარის სტრატეგიულ გეგმაში დაკონკრეტებულია საქართველოს რეგიონულ განვითარების პროგრამის სუსტი მხარეები და გამომდინარეობს არსებული ვითარებიდან</p>

<p>საკმარისი გამოყენება რეგიონის ტურისტული პროდუქტების შემდგომი განვითარებისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> - უმუშევრობის მაღალი დონე; - მოსახლეობის სოციალური დაცვის არასაკმარისი სერვისები; - მიგრაციული პროცესების მართვის დაბალი დონე; - სამედიცინო მომსახურების ხარისხში მკვეთრი განსხვავება ქ. ბათუმსა და მუნიციპალიტეტებს შორის 	<p>და არასრული დასაქმება კვლავ კრიტიკულ პრობლემად რჩება;</p> <ul style="list-style-type: none"> - კვლავაც მწვავედ პრობლემურია რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობები. 	
<p><u>შესაძლებლობები</u></p> <p>რეგიონში წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზრების დივერსიფიკაცია</p>	<p><u>შესაძლებლობები</u></p> <ul style="list-style-type: none"> - ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდის შესაძლებლობება; - რეგიონების განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავება მიმდინარე წლის ბოლომდე; - რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის დაბალანსებული განვითარებას, კოორდინირებული და მრავალსექტორული მიდგომით. 	<p><u>დასკვნა:</u></p> <p>აჭარის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნაკლებადაა ასახული ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობა</p>
<p><u>საფრთხეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა; - ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების დროს ეკოლოგიური საკითხების არასაკმარისად გათვალისწინება; - ფინანსური და მატერიალური რესურსების არასაკმარისი ოდენობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად; - ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტიციების მოცულობის შემცირება; - ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა, ტერორიზმი, მოსახლეობის მწირი შემოსავლები, რაც განაპირობებს ტყის რესურსების არაგონივრულ გამოყენებასა და ტყეთ-სარგებლობის წესების დარღვევას; - მაკროეკონომიკური არასტაბი- 	<p><u>საფრთხეები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი ჯერ კიდევ არ არის დამლეული; - გეოპოლიტიკური არასტაბილურობა; - საქართველოს ბიუჯეტზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მაკროეკონომიკური შეზღუდვები; - ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ეფექტიანი განხორციელება და სუბნაციონალური ინსტიტუციური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ამადლება კვლავ აქტუალურია 	<p><u>დასკვნა:</u></p> <p>საფრთხეები ძირითადად განსაზღვრულია არსებული რეალობის გათვალისწინებით.</p>

<p>ლურობისა და ეკონო-მიკური კრიზისის გამო კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინება რე-გიონიდან;</p> <ul style="list-style-type: none"> - მოსახლეობის გადაბერება და სამუშაო ძალის შემცირება; - არასაკმარისი ფინანსური რესურსები კონკურენტუნარიანი კადრების უზრუნველსა-ყოფად 		
--	--	--

ამ დოკუმენტების ურთიერთშედარების საფუძველზე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ აჭარის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს იმ ტენდენციებს, რომელიც მთელ ქვეყანაშია (აღნიშნული პერიოდის გათვალისწინებით), თუმცა, აუცილებელია მისი მორგება არსებულ რეალობაზე, რაც გულისხმობს ბოლო პერიოდში განხორციელებულ პროექტებს:

1. *საქართველოსა და ევროკავშირის შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მოქმედება;*
2. *ექსპლოატაციაში შესული ჰიდროელექტროსადგურები;*
3. *დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტები.*

თავი VI

არსებული რეალობა და ხარვეზები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმა (პროექტი) შემუშავებულ იქნა 2016 წელს. ამ პროექტის შემუშავებიდან დღემდე გასულ პერიოდში განსხვავებული რეალობა იქნა ჩამოყალიბებული, რომლის ასახვაც აუცილებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტში ძირითად ხარვეზებად მივიჩნევთ:

1. არ არის ასახული სტრატეგიული გეგმის ცვლილების განხორციელების მექანიზმი, იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება მაკროეკონომიკური პარამეტრები, როგორ მოხდება ცვლილების განხორციელება, ცვლილება შესაძლოა შეეხოს მხოლოდ ცალკეული ინდიკატორების მიღწევას, რაც განპირობებულია გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებით.

2. გეგმაში არ არის გაწერილი პრიორიტეტების თანმიმდევრობა იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას საფრთხე დაემუქრა, ამ შემთხვევაში რა იქნება პრიორიტეტი, არსებული სტრატეგიული გეგმის შესრულება, თუ რეგიონალური მაკროეკონომიკური სტაბილურობის განვითარება;

3. გეგმაში არ არის გაწერილი სხვადასხვა დაბრკოლებები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური არასტაბილურობით;

4. კონკრეტულად უნდა ჩანდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ურთიერთკავშირი;

5. არ არის ჩამოყალიბებული ავტონომიური რესპუბლიკის გეგმის მონიტორინგის განხორციელების ეტაპები და პასუხისმგებელი სტრუქტურები;

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ჩამოყალიბებისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო PESTEL ანალიზი, რომელიც მოიცავს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო და გარემოსთან დაკავშირებული გარემოებების შეფასებას, მხოლოდ SWOT ანალიზით სტრატეგიული გეგმის შემუშავება ვერ მოიცავს სრულ სპექტრს.

ძირითადი შეფასებები

1. იმისათვის, რომ ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების სტრატეგია, რომელსაც ამჟამად პროექტის სახით არსებობს, იქცეს ქმედით დოკუმენტად, ასევე მისი მაღალი დონის ლეგიტიმაციისათვის, აუცილებელია, რომ ის დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. თუმცა, სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროების განვითარების სტრატეგიების დამტკიცება უნდა დარჩეს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის კომპეტენციაში;
2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა“ შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდოლოგიის მიხედვით.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლის პრობლემებს და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გასვლის პერსპექტივებს.

რეკომენდაციები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების სტრატეგიის პროექტში საკმაოდ დიდი ადგილი (41%) უჭირავს არსებული სიტუაციის ანალიზს, რაც, ჩვენი აზრით, დოკუმენტის ზედმეტად გადატვირთულობას, მით უმეტეს, რომ ძირითადი მასალა აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდიდან.
2. სასურველია პრიორიტეტი 2.1. [2. გვ. 87] დაემატოს ამოცანა 2.1.5. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მცირე და საშუალო მეწარმეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება - ამ პრიორიტეტის მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია ჩამოაყალიბოს კონსალტინგ-ცენტრები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეწარმეთა საკანონმდებლო და მარკეტინგული ინფორმირებულობის ამაღლებას, შედეგად მიიღება მეწარმეთა ის ჯგუფები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის გასატანად;
3. პრიორიტეტი 2.3 [2. გვ. 92] დაემატოს ამოცანა 2.3.6. რეგიონში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანის უზრუნველყოფა - ამ მიმართულების ამოქმედებით, სახელმწიფო ღებულობს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს რეგიონში წარმოებული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანას;
4. უმჯობესია, დაკონკრეტდეს ამოცანა 3.4.2. „აჭარაში სპორტული რეგიონული ცენტრის ფორმირების ხელშეწყობა“ [2. გვ. 104], აქ უნდა გაითვალისწინონ ის მოცემულობა, რომელიც არსებობს დღეის მდგომარეობით;
5. რეგიონის სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტში ხაზი უნდა გაესვას სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობას, რადგან უკვე მიღებულია სოფლის განვითარების სტრატეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტი;
6. სტრატეგიული განვითარების პროექტში სათანადო დონეზე უნდა აისახოს ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე საინვესტიციო ვექტორის ცვლილება, კერძოდ, ტურიზმიდან-ენერგეტიკისაკენ, ხაზი უნდა გაესვას, რეგიონში ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის გავლენას ავტონომიური რესპუბლიკისა და ზოგადად ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების საქმეში;
7. ტურისტული სერვისების გაუმჯობესების მიზნით განხილულ იქნას პრიორიტეტი: „ფასი-სერვისის შესაბამისობა“ და უნდა დაისახოს ამ პრიორიტეტის განხორციელების გზები;

8. ასახულ იქნეს ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც ერთის მხრივ ტურისტული პოტენციალის ზრდის საფუძველი, ხოლო მეორეს მხრივ, რეგიონის სოციალური მდგომარეობის გამოსწორების საშუალება;
9. კონკრეტულად უნდა გაიწეროს პროგრამის მონიტორინგის ეტაპები და მისი შეფასება/გაზომვის ფორმები;
10. მონიტორინგის უკეთ განხორციელებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი გაიწეროს წლების მიხედვით;
11. ვიზუალური აღქმისათვის უმჯობესია დასახული ამოცანების მიღწევის პერიოდიზაცია გაიწეროს ცხრილის სახით, სადაც თითოეული შესასრულებელი ამოცანისათვის გამოჩნდება შესრულების ვადები, ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, მისაღწევი მიზანი და შეფასების კრიტერიუმები;
12. მიზანშეწონილია სტრატეგიული განვითარების გეგმაში აისახოს პერიოდები, რომლის დროსაც გადაიხედება გეგმა;
13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების სტრატეგიის პროექტში უნდა აისახოს ის თანამედროვე მოცემულობა, რომელიც დღეისათვის დგას ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე, ამ რეალობის გათვალისწინებით, შესაძლებელია დამტკიცდეს გადამუშავებული პროექტი

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგია, 2011
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროექტი), ბათუმი, 2016
3. აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგია 2016-2010, დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 17 მაისის # 67 დადგენილებით, ბათუმი 2016
4. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა, თბ. 2014
5. აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017 -2020, დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 27 იანვარს # 15 დადგენილებით, ბათუმი 2016